



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA

ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ზუგდიდი

N 1695

03/08/2020

1695-02-4-202008031824



მერის ბრძანება

გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ივლისის N474 დადგენილების საფუძველზე „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევა ხორციელდება 2020 წლის 3 აგვისტოდან 26 დეკემბრამდე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

- დამტკიცდეს 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ორგანიზებულად განხორციელების მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - გიორგი შენგელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი კომისიის თავმჯდომარე;
 - გია მანჯგალაძე - I რანგის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი - თავმჯდომარის მოადგილე;
 - დავით მოსია - შსს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;
 - ლაშა ტორუა-III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
 - დავით გვასალია - სუსის კონტრაზვერვის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხედრო კონტრაზვერვის სამმართველოს უფროსი- კომისიის წევრი;
 - მანანა სართანია- III რანგის III კატეგორიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;
- გამწვევა კომისიამ თავის კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული, დოკუმენტალურად დადასტურებული, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები:
 - სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ;
 - სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების შესახებ;
 - სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისგან განთავისუფლების შესახებ;
 - სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ.
- მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გამწვევა კომისიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის

სამსახურთან /გ.მანჯგალაძე/ ერთად უზრუნველყოს წვევამდელთა წარდგენა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში გაწვევის გრაფიკის სრული დაცვით.

4. გამწვევმა კომისიამ სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურთან /გ.მანჯგალაძე/ ახალწვეულთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ორგანიზებულად წარდგენის მიზნით უზრუნველყოს მათ გამცილებლად სამხედრო სამსახურში გამოცდილი თანამშრომლის გუნდის უფროსად დანიშვნა;
5. მოქალაქის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისგან თავის არიდების შემთხვევაში გამწვევმა კომისიამ უზრუნველყოს შესაბამისი მასალების გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის;
6. მოქალაქეთა მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა / 2000 ლარი/ განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.
7. გამწვევი კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა/გ. მანჯგალაძემ/ უზრუნველყოს ყველა სახის დოკუმენტაციის გაფორმება წვევამდელთათვის, რომლებმაც გაიარეს გამწვევი კომისია;
8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურმა გაწვევის ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით უზრუნველყოს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დროულად გამოყოფა;
9. შსს ზუგდიდის რაიონულმა სამმართველომ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში აღმოუჩინოს დახმარება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სამსახურში გაწვევას;
10. აღნიშნული ბრძანება და გაწვევის მიმდინარეობა გაშუქდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.
11. ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 3 აგვისტოდან.
12. ბრძანების ამოქმედებისთანავე გაუქმდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 3 თებერვლის N 324 ბრძანება
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია

მერი

